



საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

თარიღი: 4 აპრილი, 2012 წელი

დრო: 17.00 -19.00 საათი

შეხვედრის ადგილი: ფონდი ღია საზოგადოება-საქართველო

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ქეთევან ციხელაშვილი - საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე
2. თამარ ჩუგოშვილი - 1-ი ჯგუფი, თანაკოორდინატორი
3. დავით ნარმანია - მე-2 ჯგუფი, თანაკოორდინატორი
4. პაატა ბელთაძე- მე-2 ჯგუფი, თანაკოორდინატორი
5. ლია თოდუა - მე-3 ჯგუფი, თანაკოორდინატორი
6. თემურ ვეკუა - მე-3 ჯგუფი, თანაკოორდინატორი
7. მარინე სოლომონაშვილი - მე-4 ჯგუფი, თანაკოორდინატორი

განსახილველი საკითხები:

- ეროვნული პლატფორმის სამდივნოს ახალი შემადგენლობა
- ახალი სამდივნოს პროექტი და სტრატეგია
- პლატფორმაში გაწევრიანების მსურველი ორგანიზაციების განაცხადების განხილვა
- პლატფორმის ვებ-გვერდი
- სამუშაო ჯგუფების შეხვედრების შედეგები
- საკოორდინაციო საბჭოს სამოქმედო გეგმა
- კომუნიკაცია ევროკავშირის დელეგაციასთან, ევროკავშირის წევრი ქვეყნების საელჩოებთან, საერთაშორისო ორანიზაციებთან და საქართველოს ხელისუფლებასთან

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა საბჭოს თავმჯდომარემ და კოორდინატორებს წარუდგინა მათთვის წინასწარ გაგზავნილი დღის წესრიგი- საკითხთა ჩამონათვალის უფრო დეტალური განმარტებით. დამსწრეთა სრული შემადგენლობის თანხმობით დღის წესრიგი დამტკიცდა.

სამდივნო

იქიდან გამომდინარე, რომ 28 მარტს სამდივნოს პროექტის ვადის ამოწურვის გამო, საიამ შეწყვიტა პლატფორმის სამდივნოს ფუნქციის შესრულება, საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრეებს ეროვნული პლატფორმის სამდივნოს ახალი შემადგენლობა წარუდგინა. შესასრულებელი სამუშაოს მოცულობიდან და სირთულიდან გამომდინარე, საკოორდინაციო საბჭომ პირველივე შეხვედრაზე მიზანშეწონილად ჩათვალა სამდივნოს ფუნქციების დაყოფა შინაარსობრივ (პლატფორმის მიმართვების, საქმიანობის ანგარიშების, სხვადასხვა დოკუმენტების სამუშაო ვერსიების მომზადება და ა.შ.) და ტექნიკურ კომპონენტებად (ვებ-გვერდის ადმინისტრირება, შეხვედრების და სამუშაო ჯგუფების შეკრებების ორგანიზება, სტენოგრაფიული ოქმები, სამუშაო ჯგუფების შედეგების ადმინისტრირება და ა.შ.). ტექნიკურ სამუშაოზე გამოიყო ნახევარი განაკვეთი, ხოლო შინაარსობრივზე - სრული. შინაარსობრივი ფუნქციების შესასრულებლად წარდგენილი იქნა ეკა მრულიშვილი, ხოლო ტექნიკურზე - სალომე ბულია.

კანდიდატებთან გასაუბრების შემდგომ, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სამდივნოს შემადგენლობა, რადგანაც წარმოდგენილი კანდიდატები, აკადემიური და პროფესიული კვალიფიკაციით, სრულად აკმაყოფილებდნენ საბჭოს მიერ პირველ შეხვედრაზე განსაზღვრულ კრიტერიუმებს, (იხილეთ საკოორდინაციო საბჭოს 2012 წლის 28 იანვრის შეხვედრის ოქმი).

ახალი სამდივნოს პროექტი და სტრატეგია

საბჭომ შემდეგ საკითხად განიხილა ახალი სამდივნოს პროექტი და სამოქმედო გეგმა, რითაც საკოორდინაციო საბჭო აპირებს მიმართოს დონორებს და მოიზიროს სამდივნოს ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სახსრები. პლატფორმის სამდივნოს ზოგადი მიზანი იგივე რჩება, რაც ადრე იყო და მოიცავს საქართველოს ეროვნული პლატფორმის შეუფერხებელი და ეფექტიანი მუშაობის ხელშეწყობას და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას მისი საქმიანობის შესახებ. შესაბამისად, სამდივნოს კვლავ აქვს სამი ძირითადი ამოცანა: 1. საქართველოს ეროვნული პლატფორმის შეუფერხებელი და ეფექტიანი მუშაობის უზრუნველყოფა აღმოსავლეთის პარტნიორობის თემატურ ჯგუფებში შემავალ საკითხებზე; 2. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და სამოქალაქო-საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაინტერესება აღმოსავლეთის პარტნიორობაზე სამუშაოდ ეროვნული პლატფორმის ფარგლებში; 3. საქართველოს მთავრობასთან, სამოქალაქო საზოგადოების ფორუმთან, ევროკომისიასა და ევროკავშირის ადგილობრივ დელეგაციასთან ეროვნული პლატფორმის

თანამშრომლობის განვითარება აღმოსავლეთის პარტნიორობის თემატური პლატფორმების მუშაობის ხელშეწყობის და ადვოკატირების მიზნით.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს ახალ პროექტში შესატან ცვლილებებსა და შესწორებებზე. ერთ-ერთ ასეთ ფუნქციად დასახელდა რეგიონების ჩართულობის და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გააქტიურების ხელშეწყობა, რომელიც მოიცავს ორ მიმართულებას: 1. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში საინფორმაციო აქტივობების განხორციელებას; 2. რეგიონებიდან დაინტერესებული ორგანიზაციების პლატფორმის საქმიანობაში ჩართვასა და შეხვედრებში მონაწილეობის უზრუნველყოფას. საკოორდინაციო საბჭომ განიხილა ასევე ამ მიზნების განხორციელებისათვის საჭირო აქტივობების ფორმები (მათ შორის, პლატფორმის პოპულარიზაციის საკითხი ვებ-გვერდის მეტად გააქტიურებისა და სოციალური ქსელების მეშვეობით, რეგიონული მედიის საშუალებებით, ასევე, ექსპერტების ჩასვლითა და დისკუსიების მოწყობით).

გარდა ამისა, სამდივნოს სტრატეგიის ფარგლებში ისაუბრეს ეროვნული პლატფორმის შესახებ საზოგადოებაში დაბალი ცნობადობის პრობლემატიკაზე. ცნობიერების ამაღლების მიზნით, პროექტის ფარგლებში დაიგეგმა სხვადასხვა სახის აქტივობები, მათ შორის კონფერენციებისა და პრეს-კონფერენციების ჩატარება, არსებული სატელევიზიო (მაგ., საზოგადოებრივ მაუწყებელზე "ევროპული არჩევანი," რადიო გადაცემები, და ა.შ.) რესურსების გამოყენება, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. წევრები შეთანხმდნენ, რომ პლატფორმის პიარ სტრატეგიაზე მუშაობისას სასურველია პლატფორმის წევრ მედია ორგანიზაციებთან შეხვედრა მათი რესურსების ეფექტურად გამოყენებასთან დაკავშირებით.

ეროვნული პლატფორმის პოპულარიზაციის მიზნით, საბჭომ განიხილა საინფორმაციო ბიულეტენების დაბეჭდვის შესაძლებლობა, რომელიც ელექტრონულად გავცრელდება სხვადასხვა ქსელებში.

ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ საბჭოს წევრები შეჯერდნენ კომპლექსური პროექტის მომზადებაზე, რომელშიც გაერთიანდება ყველა მიმართულება. რაც შეეხება ფინანსურ მხარეს, თუ ერთი კონკრეტული დონორი ვერ შეძლებს მთლიანი პროექტის დაფინანსებას, შესაძლებელია დაფინანსების დონორთა კონსორციუმზე გადანაწილება პროექტის ცალკეული კომპონენტების მიხედვით. ამისათვის, საკოორდინაციო საბჭომ იმსჯელა ფონდების მოძიების სტრატეგიაზე, რაც კიდევ უფრო დეტალურად იქნება განხილული საბჭოს მომდევნო შეხვედრაზე მიმდინარე თვეში.

პლატფორმაში გაწევრიანების მსურველი ორგანიზაციების განაცხადების განხილვა

არსებული მდგომარეობით, პლატფორმის 97 წევრი ორგანიზაციიდან ხელახალი რეგისტრაცია გაიარა 79 - მა, 14 - მა არ წარმოადგინა განახლებული მონაცემები, ხოლო 4 - მა უარი თქვა წევრობაზე. გარდა ამისა, შემოვიდა 9 ახალი განაცხადი. განაცხადების განხილვის შედეგად საბჭომ ერთხმად მიიღო 8 ახალი წევრი. ესენი არიან:

1. მეწარმე ქალთა ფონდი
2. კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი "სოხუმი"
3. ასოციაცია "მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია"
4. ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველო
5. საზოგადოებრივი დამცველი
6. სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი
7. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები - საქართველო
8. ფონდი "კავკასიის ეკოლოგია"

რაც შეეხება მეცხრე კანდიდატს, საბჭოს გადაწყვეტილებით მისი მიღების საკითხი განიხილება მხოლოდ სრული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ. საბჭო შეთანხმდა, რომ წევრების განახლებულ შემადგენლობას გამოაქვეყნებს პლატფორმის ვებ-გვერდზე უახლოეს დღეებში, (გთხოვთ, იხილოთ ვებ-გვერდი: <http://eapnationalplatform.ge>)

პლატფორმის ვებ-გვერდი

'ადამიანის უფლებათა ცენტრი' აგრძელებს პლატფორმის ვებ-გვერდის ადმინისტრირებას. საბჭო შეთანხმდა, რომ საჭიროა ვებ-გვერდის უფრო აქტიური გამოყენება, განახლება და შინაარსობრივი დატვირთვა პლატფორმის საქმიანობის ხელშესაწყობად. სამდივნოს პროექტის დამტკიცების შემდეგ, თავად სამდივნოც ჩაერთვება ვებ-გვერდის მართვაში და უზრუნველყოფაში. გამოითქვა მოსაზრება, რომ სასურველია ვებ-გვერდზე შეიქმნას ახალი ამბების სექცია, სადაც განთავსდება სხვადასხვა ვებ-გვერდებიდან მოძიებული შესაბამისი ინფორმაცია. კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით, ასევე განიხილეს სოციალურ ქსელ Facebook-ში როგორც საერთო, ასევე ოთხივე ჯგუფისთვის ინდივიდუალური გვერდების გააქტიურების საკითხი. საბჭოს თავმჯდომარემ კოორდინატორებს აცნობა ადამიანის უფლებათა ცენტრთან და მათ მხარდამჭერებთან ვებ-გვერდის თაობაზე 26 მარტს გამართული შეხვედრის შესახებ და აღინიშნა, რომ ცენტრის ინფორმაციით Facebook-ის ანგარიშები მალე გააქტიურდება, როგორც პლატფორმის საერთო შემადგენლობისათვის, ისე ჯგუფებისათვის. საკოორდინაციო საბჭომ დამატებითი წინადადებებით მიმართა ვებ-გვერდის ადმინისტრატორებს რეგულარულად განახლებადი საინფორმაციო კუთხის დამატების და ინტერაქტიული ფუნქციების გააქტიურების შესახებ. შესაბამისად, ვებ-გვერდზე განთავსდება ინფორმაცია ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის მიმართულებით არსებულ სიახლეებზე, სამოქალაქო საზოგადოებისათვის საკონკურსო განაცხადებზე, სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის აქტივობებზე და ა.შ., რაც საინტერესო იქნება პლატფორმის წევრებისათვის.

კომუნიკაცია ევროკავშირის დელეგაციასთან, ევროკავშირის წევრი ქვეყნების საელჩოებთან, საერთაშორისო ორანიზაციებთან და საქართველოს ხელისუფლებასთან

ამ საკითხის განხილვას საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, რომ სტრუქტურული დიალოგის მიზნით მნიშვნელოვანია უახლოეს მომავალში დაიგეგმოს შეხვედრები შემდეგ 4 სახელმწიფო უწყებასთან: 1. საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი (სამთვინი ინტერვალთ); 2. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; 3. საქართველოს პარლამენტი (ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი); და 4. პრემიერ მინისტრის აპარატი. საბჭომ განიხილა ასევე ეროვნული პლატფორმისა და საქართველოს ხელისუფლების უწყებათაშორის ჯგუფთან რეგულარული და სტრუქტურული დიალოგის ფორმატის ჩამოყალიბების ინიციატივა. საკოორდინაციო საბჭო მიმართავს ევროინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს თხოვნით უახლოეს მომავალში შეხვედრის ორგანიზების თაობაზე, და ამ შეხვედრაზე, სხვა წინადადებებთან ერთად, ამ საკითხსაც დააყენებს. გარდა ამისა, საბჭო შეთანხმდა ასევე პლატფორმის თემატური სამუშაო ჯგუფების შესაბამისი პროფილების სამინისტროებთან შეხვედრების საჭიროებაზე. საბჭო საქართველოს ხელისუფლებასთან შეხვედრისას წარადგენს ინიციატივას, ხოლო შემდგომ მიმართავს თითოეულ სამინისტროს თხოვნით, რომ სამოქალაქო საზოგადოებასთან კომუნიკაციაში ჩაერთოს და რეგულარულად მისაწვდომი გახდეს ის შესაბამისი დეპარტამენტი, უწყება თუ პასუხისმგებელი პირი, რომელიც ევროკავშირთან ინტეგრაციის საკითხებს კურირებს. შესაბამისად, საკოორდინაციო საბჭო ჯგუფებთან კონსულტაციით, მოახდენს თემატური შეხვედრების ორგანიზებას მიმდინარე პრიორიტეტებიდან გამომდინარე, სადაც პლატფორმის ყველა დაინტერესებულ წევრს შეეძლება მონაწილეობის მიღება, ინფორმაციის გაცვლის, სამოქალაქო საზოგადოების პოზიციების გაჟღერების და რეკომენდაციების წარდგენის მიზნით.

საკოორდინაციო საბჭომ ასევე გადაწყვიტა წერილით მიმართოს ევროკავშირის დელეგაციას თანამშრომლობის სამხრევი ფორმატის აღდგენის შესახებ, (ამგვარი შეხვედრა გაიმართა 2011 წლის სექტემბერში), რომლის თანახმადაც ევროკავშირს, წინა პრაქტიკისაგან განსხვავებით, ექნება არა მხოლოდ ფასილიტატორის, არამედ მხარის როლი. საბჭოს წევრები ერთხმად შეთანხმდნენ პლატფორმის პოპულარიზაციის და შემდგომი თანამშრომლობის შეთავაზების მიზნით, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საქართველოში მოქმედ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩებთან შეხვედრების საჭიროებაზე. საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ამგვარი შეხვედრები უკვე ჰქონდა გერმანიისა და ესტონეთის ელჩებთან აპრილის დასაწყისში. სხვა საელჩოებთან შეხვედრები იგეგმება უახლოეს მომავალში.

ჯგუფის კოორდინატორებმა მოკლედ გააცნეს დანარჩენ წევრებს სამუშაო ჯგუფებთან შეხვედრის შედეგები, თუმცა, განსახილველი საკითხების მოცულობიდან და აქტუალურობიდან გამომდინარე, საბჭომ გადაწყვიტა მიმდინარე თვეში კიდევ ერთი რიგგარეშე შეხვედრის ორგანიზება, სადაც ასევე დეტალურად განიხილავს ფონდების მოზიდვის სტრატეგიას პლატფორმის პოპულარიზაციის და პლატფორმის საქმიანობის ხელშეწყობისათვის. მიმდინარე ეტაპზე კი, საბჭო შეთანხმდა, რომ გამოიყენებს თანამშრომლობის ყველა იმ შესაძლებლობას, რაც საშუალებას მისცემს პლატფორმას

გააქტიუროს თემატური საქმიანობა, ფონდების მოზიდვისათვის საჭირო ხანგრძლივი პროცედურების გარეშე. ამ კონტექსტში, საბჭოს თავმჯდომარემ კოორდინატორებს აცნობა ბიოლის ფონდთან 2 აპრილს გამართული საკონსულტაციო შეხვედრის შესახებ, სადაც განხილული იქნა ბიოლის ფონდის უკვე არსებული სადისკუსიო ფორმატის გამოყენების შესაძლებლობა პლატფორმის მიერ განსაზღვრულ თემატიკაზე. ბიოლის ფონდთან შეთანხმებით, შესაძლებელია ოთხი ამგვარი თემატური შეხვედრის/საჯარო დისკუსიის ორგანიზება. შესაბამისად, კოორდინატორები, ჯგუფებთან კონსულტაციის საფუძველზე, განსაზღვრავენ პრიორიტეტულ თემებს, მომხსენებლებსა და აუდიტორიას და წინადადებით მიმართავენ ბიოლის ფონდს მათთვის საინტერესო დისკუსიების ორგანიზების თაობაზე. გარდა ამისა, პლატფორმის პოპულარიზაციის ერთ–ერთ საშუალებად განხილულ იქნა ევროპის სახლის მიერ მაისის ბოლოს და ივნისის დასაწყისში დაგეგმილი 'ევროპის დღეებში' ჩართვა და მონაწილეობის მიღება, რის თაობაზეც საბჭოს თავმჯდომარე უახლოეს დღეებში შეხვედბა ევროპის სახლის წარმომადგენლებს და განიხილავს პლატფორმის ჩართულობის შესაძლებლობებს. ყველა ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდება პლატფორმის წევრებისათვის.

ორსაათნახევრიანი მსჯელობის შემდეგ, საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა დასრულდა.